# ქართული ჩაი 334.000 ტონა

ეროვნული გიგანტომანია

## საქართველოს მეჩაიეებმა პირნათლად შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება


პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERKHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 ოთხშაბათი 1 ოქტომბერი № 230 (16356) ფასი 2 კაპ. 1975


საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს სკკპ XXV ყრილობის წინ მოპოვებულ ახალ შესანიშნავ გამარჯვებას.

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

## გამარჯვებულთ ულოცავენ

## შესაფერი სიტყვა ვუთხრათ

მთელი რუსეთის ჩვენი ხალხი ხახელოვან მეჩაიეებს, ჩაის მრეწველობის მუშაკებს, ყველას, ვინც მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საჩქაროდ იშრომა, სიამოვნებით ულოცავს ახალ დიდ გამარჯვებას. როცა შრომის ამ დიდ გამარჯვებაზე ვლაპარაკობთ, გვახსენდება ის რთული ბუნებრივი პირობები, რაც წლევანდელმა წელმა თითქოს მშრომელთა საგანგებო გამოსაცდელად შექმნა. სოფეთი და ხიუზვე კოლმეურნეგლეხის მარჯვენამ თვითონვე დამკვიდრა, ცისა და დარის ანაბარა არ დარჩენილა.

ამ დიდ შრომითს ენთუზიაზმს, ხალხის ამ სასახელო შემართებას ყველა შემოქმედი გულწრფელად მიესალმება, და მწერლებს ერთხელ კიდევ გვახსენდება ჩვენი წმინდა მოვალეობა — შესაფერი სიტყვა ვუთხრათ შრომაში გამარჯვებულთ.

**გრიგოლ აბაშიძე,**
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

## მეჩაიეებთან თანამეგობრობით

საქართველო ახალ სამეურნეო გამარჯვებას ზეიმობს. ქართველი მეცნიერები, კერძოდ, ტექნიკური და ზუსტი მეცნიერების მოღვაწენი, არაფერს იშურებენ ჩაის კულტურის მაღალ დონეზე აყვანისა და მეჩაიეთა შრომის მაღალნაყოფიერებისათვის. სწორედ მეჩაიეობის რაიონთა მშრომელებთან მეცნიერთა შემოქმედებითმა თანამეგობრობამ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელებამ შეუწყო ხელი ამ უძვირფასესი ტექნიკური კულტურის უნვი მოსავლის მიღებას.

მიღწეული არც მეცნიერთათვის არის ზღვარი და არც მათი ნაზრევის გამომყენებელთა და ხორცშესხმელთათვის.

**ვ. მახალდიანი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

# მარქსისტულ-ლენინური წრთობა

ადრეულ ტრადიციულად იწყება ახალი სასწავლო წელი მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში. კომუნისტთა და კომკავშირელთა თეორიული სწავლება, შრომელთა ეკონომიური განათლება მუდამ იყო ჩვენი პარტიული ორგანიზაციების უურადღების ცენტრში. ახალი სასწავლო წელი ემთხვევა პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების პერიოდს. ეს გარემოება ბევრად განსაზღვრავს პარტიული ორგანიზაციების ახალ ამოცანებს.

„პარტიას მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია, — ამბობდა სკკპ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი, — რომ კომუნისტები დაბეჯითებით ეუფლებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნას, შეეძლოთ გულდაჯერებით ერკეოდნენ ცხოვრების ახალ მოვლენებში, სწორ შეფასებას აძლევდნენ მათ და სწორი პრაქტიკული დასკვნები გამოჰქონდეთ. კომუნისტების იდეური წრთობა ჩვენი პარტიული რიგების ბრძოლისუნარიანობის გადიდების აუცილებელი პირობაა“.

გასულმა სასწავლო წელმა ჩაიარა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით, მიმართული ყველგან და ყველაფერში სრული წესრიგის დამყარებისაკენ, პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისაკენ, ნეგატიური მოვლენების ბოლომდე აღმოფხვრისაკენ.

32.135 პროპაგანდისტი წარმართავდა მეცადინეობას პარტიული და ეკონომიური განათლების სისტემაში, რომელშიც ჩაბმული იყო 700 ათასზე მეტი მსმენელი. შემოქმედებითად რომ იყენებდნენ სასწავლო პროგრამებსა და გეგმებს, პარტიული ორგანიზაციები ცდილობდნენ უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ სწავლების არა მარტო არსს, არამედ ორგანიზაციულ სტრუქტურასაც, ყურადღებას უთმობდნენ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, განიხილავდნენ პოლიტიკური და ეკონომიური სწავლების მიმდინარეობის ხაკითხებს. ამ მხრივ პირველ რიგში შეიძლება ოავსახელოთ თბილისის, ქუთაისის, აჭარის, ახალციხეთის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, ფოთის, გორის, წყალტუბოს, ხიდისაოის, ცხინვალის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, ქობულეთის და სხვა პარტიული ორგანიზაციები.

გასული სასწავლო წლის ერთერთი დადებითი შედეგი ის არის, რომ პროპაგანდისტთა თეორიული და მეთოდური კონფერენციები მოიწყო ყველა რაიონულ და საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში. კონფერენციებზე განიხილავდნენ პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, შრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის, სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის, შიძენილი გამოცდილების გავრცელების და სხვა საკითხებს.

მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა მოსკოველ და ივანოველ პროპაგანდისტთა თაოსნობამ — „ჩვენი ცოდნა, იდეური რწმენა და ორგანიზატორული უნარი მოვაზმაროთ ხუთწლედის სამსახურს“. დავიზმაროთ მსმენელებს დასაბუთებული შემხვეური გეგმების შედგენასა და განხორციელებაში.

თვისებრივად გაუმჯობესდა პროპაგანდისტთა მთელი შემადგენლობა, რომელთა დიდ უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს.

ახალი სასწავლო წლისათვის რომ ემზადებოდნენ, პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში იყო გასულ სასწავლო წელს. სამწუხაროდ, ბევრგან პარტიული ორგანიზაციები, პროპაგანდისტები და სემინარების ხელმძღვანელები ჯეროვან უურადღებას არ აქცევენ მშრომელთა პოლიტიკურ განათლებას, ღრმად არ სწავლობენ თეორიის საკითხებს, აბსტრაქტულად განიხილავენ თეორიულ დებულებებს, ღრმად ვერ განმარტავენ პარტიის პოლიტიკის მეცნიერულ ხასიათს; ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საერთოდ არ განიხილავს პოლიტიკური სწავლებისა და ეკონომიური განათლების საკითხებს; დიდი ნაკლია ისიც, რომ საჭირო უურადღება არ ექცევა წიგნზე, პოლიტიკურ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავებას.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ მოითხოვს, რომ თეორიის, ეკონომიური პრობლემების შესწავლა მჭიდროდ დაუკავშირდეს პრაქტიკას. კვლავაც უნდა განვავითაროთ მოძრაობა „პროპაგანდისტი და ხუთწლედი“, იდეოლოგიურად უზრუნველყოთ საქართველოს მშრომელთა საბრძოლო ამოცანები, რომელთა შორის ამჟამად მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება — საქართველოს შეუქლია გაზდეს, უნდა გაზდეს და კიდევაც გაზდება დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა!! ეს დიდი ხადეესო საქმე მოითხოვს ფართო პროპაგანდას, გადაჭრით უნდა გავაქტიუროთ პროპაგანდისტული და საგიტაციო მასობრივი მუშაობა.

ამ მხრივ რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ამას მოწმობს ფაქტები, რომლებსაც ასახელებენ პარტიული ორგანიზაციების მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. თელავის რაიონის რუისპირის კოლმეურნეობა „უურძენ-თავთავში“ პარტიული კომიტეტი საკმაოდ არ ეხმარება ფერმის კომუნისტებს, არ ზრუნავს, კერძოდ, კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის; პარტიის გუდაუთის რაიკომიმ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას არ უზრუნია, რომ ახალსოფლის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკებისათვის ერთი ლექცია-მოხსენება მაინც წაკითხულიყო.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების უურადღების ცენტრში მუდამ უნდა იყოს პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების, მშრომელთა ეკონომიური სწავლების იდეური დონე, მისი ხარისხი. ჩვენ ყოველდღიური ზრუნვით უნდა შევმოსოთ პროპაგანდისტები, თეორიული სემინარების ხელმძღვანელები, კონსულტანტები, პარტიული ორგანიზაციების, პროპაგანდისტების მოვალეობა ის არის, რომ უფრო ფართოდ გაშალონ თეორიის პროპაგანდა, მშრომელთა ეკონომიური განათლება, კომკავშირული პოლიტიკური სწავლება, მიაღწიონ იმას, რომ მიღებული ცოდნა მტკიცედ უკავშირდებოდეს პრაქტიკას, სახალხო-სამეურნეო ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას.

მუდამ გვახსოვდეს, რომ კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა მშრომელის პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ხარისხის შემდგომი ამაღლება, მისი ქმედითობის მიღწევა პარტიული ორგანიზაციების უმთავრესი ამოცანაა.

# საქართველოს მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს!

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს სკკპ XXV ყრილობის წინ მოპოვებულ ახალ შესანიშნავ გამარჯვებას.

ქართველ მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგმა დაადგინრგვინა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის მშრომელთა პატრიოტული აღმავლობა. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 334 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაშინ როცა სახალხო-სამეურნეო გეგმა ითვალისწინებდა 295 ათას ტონას და სოციალისტური ვალდებულება — 315 ათას ტონას, ამასთან პირველი ხარისხის ნედლეულის ხვედრითმა წონამ 69,7 პროცენტი შეადგინა. მრეწველობამ გამოიმუშავა 83.853 ტონა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაი. მეცხრე ხუთწლედის დავალების გადამეტებით მოკრეფილია 155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩაის პლანტაციების ჩვენს სახელოვან ოსტატებს არასდროს არ მოუკრეფიათ, ხოლო ჩაის ფაბრიკების მუშაკებს არ გადაუმუშავებიათ ამდენი ნედლეული. საქართველოს მეჩაიეთა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა კრეფის მთელი სეზონის მანძილზე გამოწვეული იყო იმით, რომ მათ შრომას მაღალი შეფასება მისცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხუთწლედის მეოთხე წლის გამოგზავნილ მისასალმებელ დეპეშაში.

ეჭვი არ არის, რომ მეჩაიეთა წარმატება ესოდენ მნიშვნელოვანი ვერ იქნებოდა, პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს რომ არ უზრუნველეყოთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატრანსპორტო, დამამზადებელი სამრეწველო საწარმოების კოლექტივების ზუსტი და შეწყობილი მუშაობა.

ჩვენი მეჩაიეების დამკვრელური ფინიში შთაბეჭდავს რესპუბლიკის მევენახეებს, მეხილეებს, მეკარტოფილეებს, მებოსტნეებს, საკვების დამამზადებლებს, მეცხოველეებს, მეციტრუსეებს, მეთამბაქოეებს, მესიმინდეებს, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს მიაღწიონ მიმდინარე წლის სოციალისტური შეჯიბრებით დასახულ მაღალ მიჯნებს.

ახლა, როცა პლანტაციებში დადგა მიწათმოქმედებისათვის პასუხსაგები შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა პერიოდი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი ჩაის პლანტაციებისა და ჩაის მრეწველობის შესანიშნავი მშრომელები ასევე წარმატებით შეასრულებენ უზეში ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების დავალებას, მაღალ დონეზე განახორციელებენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს, სანიმუშოდ მოამზადებენ სამრეწველო საწარმოებს ახალი სეზონისათვის და ამით მტკიცე საფუძველს შექმნიან, რომ ახალ რეკორდულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიაღწიონ მეათე ხუთწლედის პირველ წელს.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

## მიღება კრემლში

**30 სექტემბერს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო რაინლანდფალატის მხარის პრემიერ-მინისტრი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე გ. კოლი, რომელიც რუსეთის სფსრ მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. საუბრის დროს შეეხნენ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემებს. (საკდესი).

## ჟარტიული მუშაკის წნოგარი

**პოლიტიკური** ლიტერატურის გამომცემლობაში გამოვიდა „პარტიული მუშაკის ცნობარის“ მეთხუთმეტე გამოშვება. ცნობარი შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანონებს, ბრძანებულებებს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს. (საკდესი).

## ციმბირელები მეესალმებიან კოსმოსელთა რაზმს

**ნოვოსიბირსკი.** (საკდესის სპეც. კორ. ნ. ქელეზნოვი). „ციმბირი რუსეთის ძლიერების წყაროა გახდება“ — ცოსფერ ტელოზე წარწერილი მიხელ ლომონოსოვის ამ სიტყვებით შეხვდნენ აკადემიურ ქალაქში ჩამოსულ ამერიკელ ასტრონავტებსა და საბჭოთა კოსმონავტებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობენ.

ციმბირის მეცნიერების დედაქალაქი სტუმართმოყვარულად შეხვდა კოსმოსელთა რაზმს, ჩვენი პატივისცემა თქვენდამი, ერთობლივი ფრენის მონაწილეებისადმი, თქვა სტუმრებთან შეხვედრისას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ აკადემიკოსმა გ. ი. მარჩუკმა, გამოწვეულია ანა მარტო აღტაცებით მეცნიერებისათვის ჩადენილი გმირობის გამო, არამედ იმითაც, რომ თქვენ გახდით საერთაშორისო თანამშრომლობის შეტად საინტერესო დარგის პიონერები. გფიქრობ, რომ მსოფლიოს ძლიერებას, განაცხადა მეცნიერმა, თუ მ. ლომონოსოვის სიტყვებს გადავასხვაფერებთ, კვლავაც გაზრდის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ასეთი ისტორიული ხელის ჩამორთმევა როგორც კოსმოსში, ისე დედამიწაზე.

იმავე დღეს მეცნიერთა ხახლში გაართული ნოვოსიბირსკისა და აკადემიური ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ამერიკელმა ასტრონავტებმა და საბჭოთა კოსმონავტებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს ციმბირელებს გულითადი შეხვედრისათვის.

მასპინძლებს რუსულ ენაზე მიმართა თომას სტაფორდმა, რომელმაც თქვა: არ მჯერდა ჩემი მეგობრის — ციმბირელი ალექსეი ლეონოვისა, როცა მეუბნებოდა, ციმბირი ტეხასზე დიდიაო, ახლა სამე ის კი არ არის, რომ ეს ვირწმუნე. ციმბირის სიდიადე მისი გაქანება კი არ არის, არამედ ამ მხარის განვითარების დინამიზმი, მის მკვიდრთა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა.

დღეანდელი დღე გახდა აგრეთვე ქალაქის თვალწარმტაც პარკში ახალი ხეივნის დაბადების დღე — ხუთი კოხტა ნაძვი დარგეს ეკადემიკოსებმა ციმბირის მიწაზე. მეტად საინტერესო სანახაობა იყო, როცა ნაძვებს საბავშვო ბაღის ბავშვებმა ფერხულით დაუარეს. მათ ამ ზეიმისათვის სპეციალურად ისწავლეს ინგლისურად პოპულარული საახალწლო სიმღერა „ნაძვისხეო“.

სადამის სტუმრებმა გაისეირნეს ნოვოსიბირსკში.

## მრისხანე პროტესტი

**ქართველი მეცნიერები გადაჭრით გმობენ ფრანკისტ ხელისუფალთა სიხსლიან დანაშაულს**

**ქართველი** მეცნიერები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელი პროგრესული კაცობრიობა გადაჭრით გმობენ ფრანკისტ ხელისუფალთა ახალ სისხლიან დანაშაულს — ხუთი ესპანელი ანტიფაშისტის სიკვდილით დასჯას, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ ქვეყანაში დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენისათვის, რეპრესიებისა და რეჟიმის, დამპალი ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ.

ეს საქვეყნოდ განაცხადეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის აპარატს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის თანამშრომელთა მიტინგის მონაწილეებმა.

მიტინგი გახსნა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ დ. თალაკვაძემ.

— ესპანეთში გამოტანილი სიკვდილის განაჩენები, — თქვა ამ ინსტიტუტის განყოფილების გამგემ პროფესორმა ი. ტაბალუამ, — საზარელი დანაშაულია, მაგრამ იგი ვერ იხსნის ფრანკისტულ რეჟიმს გარდუვალი აღსასრულისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. შარაძენიძემ, დოცენტმა ე. ქვათაძემ, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ზ. ბოცვაძემ თავიანთ გამოსვლებში დაგმეს ფრანკისტთა ბოროტმოქმედება და დაბეჯითებით მოითხოვეს, რომ ესპანეთში ბოლო მოეღოს რეპრესიებსა და ტერორს.

მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა განაცხადეს, მხარს ვუჭერთ ანტიფაშისტებს, ესპანეთის მთელ დემოკრატიულ ძალებსა და მოითხოვეს ფაშისტური ესპანეთის დილეგებში დაწყვეტილი ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება.

(საინფორმო).

## ფიზიოლოგთა საკავშირო ყრილობა

**29 სექტემბერს** თბილისში მუშაობა დაიწყო ფიზიოლოგთა XII საკავშირო ყრილობამ. იგი მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, საბჭოთა კავშირის ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოებამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, ფიზიოლოგთა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგი ს ინსტიტუტმა. ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციის 1.200-ზე მეტი მეცნიერი და საზღვარგარეთელი სტუმარი იხილავს ცენტრალური ნერვული, გულისსისტემიანი და ენდოკრინული სისტემების თანამედროვე ფიზიოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო, კოსმოსური და ღრმა წყლის ფიზიოლოგიის ბევრ აქტუალურ პრობლემასა და სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ეხება ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მექანიზმებს.

ფიზიოლოგთა საკავშირო ფორუმი გახსნა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ბაკურაძემ.

საქართველოს სსრ მთავრობის სახელით ყრილობას მიესალმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.

ყრილობის მონაწილეებს მიესალმნენ: აკადემიკოსი ე. კრესი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. ხარაძე, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კ. ლიშაკი.

პლენარულ სხდომაზე მოისმინეს მოხსენებანი: საქართველოში ნეიროფიზიოლოგიის განვითარების შესახებ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. ჩერნიგოვსკისა — ვისცერალური სისტემების, როგორც ქცევის განსაკუთრებული ფორმის, ცხოველქმედების და მათი მუშაობის მართვის პრობლემის შესახებ, პროფესორ ა. ვოლოხოვისა — საბჭოთა კავშირის ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მუშაობის შესახებ და სხვ.

ფიზიოლოგთა XII საკავშირო ყრილობის მუშაობა 4 ოქტომბრამდე გასტანს. (საინფორმო).

*425 ათასი ტონა ყურძნისათვის*

## სად რამდენი მოიკრიფა

(30 სექტემბრისათვის)

| რაიონები | ჯალდებულება (ტონებით) | მიმართულია (ტონებით) |
|---|---|---|
| გურჯაანი | 80.000 | 80.058 |
| თელავი | 45.000 | 42.529 |
| ყვარელი | 29.000 | 24.649 |
| სიღნაღი | 24.485 | 30.487 |
| ახმეტა | 23.000 | 25.858 |
| საგარეჯო | 20.000 | 14.412 |
| წითელწყაროო | 19.000 | 16.205 |
| ლაგოდეხი | 5.500 | 9.032 |
| მარნეული | 15.860 | 13.979 |
| გარდაბანი | 9.200 | 6.559 |
| მცხეთა | 10.000 | 6.138 |
| კასპი | 9.350 | 1.060 |
| გოლენისი | 8.925 | 6.950 |
| ზესტაფონი | 26.850 | 4.259 |
| თერჯოლა | 18.100 | 5.760 |
| მაიაკოვსკი | 14.300 | 2.492 |
| ვანი | 14.500 | 948 |
| საჩხერე | 5.450 | 2.003 |
| ორჯონიკიძე | 5.350 | 916 |
| გორი | 4.450 | 474 |
| ხაშური | 4.350 | 730 |
| ჭიათურა | 2.200 | 215 |
| წალენჯიხა | 1.285 | 100 |
| სამტრედია | 1.560 | 135 |
| მახარაძე | 500 | 125 |
| ჩხოროწყუ | 1.010 | 137 |
| ამბროლაური | 3.000 | 136 |
| თეთრი წყაროო | 1.200 | 1.025 |
| დუშეთი | 1.900 | 439 |
| წყალტუბო | 4.200 | 131 |
| ჩოხატაური | 2.020 | 998 |
| აფხაზეთის ასსრ | 7.920 | 2.762 |
| სულ მოკრეფილია | | 293.676 |

# საქართველოს მეჩაიეთა საზეიმო გამარჯვება

## მეცხრე ხუთწლედის დავალების გადამეტებით მოკრეფილია 155 ათასი ტონა სარისხოვანი ჩაის ფოთოლი




ასე იზრდებოდა მეცხრე ხუთწლედში ჩაის მოსავლიანობა საქართველოში (ტონობით).

## გმირული შრომით

ენერგიის დაუზოგავად, გულდაგულ იშრომეს საქართველოს მეჩაიეებმა და გამარჯვებაც მოიპოვეს. ამდენი ჩაის ნედლეული ჩვენს მეჩაიეებს არც ერთ წელიწადს არ მოუკრეფიათ. აქვე კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა მოკრეფილი ნედლეულის ხარისხი.

მეჩაიეთა ამ გამარჯვებასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტები მეჩაიეობის წამყვანი რაიონების პარტიულ ხელმძღვანელებს დაუკავშირდნენ და ხთხოვეს „კომუნისტის“ მკითხველებისათვის პასუხი გაეცათ ხამ კითხვაზე:

1. რა წარმატებებს მიაღწიეს თქვენმა მეჩაიეებმა წლეულს და საერთოდ მეცხრე ხუთწლედში?

2. გთხოვთ დაგვისახელოთ მოწინავენი.

3. მეათე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედი იქნება, რა პერსპექტივებია მოსახლოდნელი მომავალში?

ქვემოთ ვბეჭდავთ პარტიის მახარაძის, ზუგდიდისა და ქობულეთის რაიკომების მდივნების პასუხებს.

### მახარაძე

სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების დღეებში განსაკუთრებით ეგრძნობა მახარაძის რაიონსა მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. შედეგები, რომლებიც მახარაძელებს აქვთ, მოწმობს, რომ წარმატებით სრულდება პარტიის XXIV ყრილობის, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

ცნობილია, რომ მახარაძეში ჩაის კულტურა დიდი სიყვარულით სარგებლობს. რაიონის მშრომელებმა, რომლებსაც სათავეში უდგას 6.500-კაციანი მძლავრი პარტიული ორგანიზაცია, წლეულს ჩინებული გამარჯვება მოიპოვეს „მწვანე ოქროს“ წარმოების გადიდებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში. ჯერ კიდევ ივნისში წარმატებით შესრულდა ხუთწლედის გეგმა-ვალდებულება, დღესათვის მოკრეფა და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 259.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ეს ხუთწლიან გეგმა-ვალდებულებან 30 ათასი ტონით სჭარბობს, ე. ი. მეათე ხუთწლედის ანგარიშში ნახელმწიფოს მიეყიდა 30 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. მარტო წლეულს მოკრეფილი 56.700 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 55 ათასი ტონისა. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 6.280 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად შარშან მიღებული 6.152 კილოგრამისა.

ეს დიდი წარმატება მოპოვებულია მეჩაიეთა თავდადებული შრომის, იმის მეოხებით, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ორგანიზატორული მუშაობა, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობა და სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

მახარაძელთა გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანა შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც ხუთწლედის გეგმა-ვალდებულება ჯერ კიდევ გასულ წელს შეასრულა, ხოლო მეათე ხუთწლედის ანგარიშში მოკრეფილი აქვს 30 ათასი ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

დაწინაურებულთა შორის არის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობა. აქ თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 8.200 კილოგრამი ფოთოლი. ეს სარეკორდო მოსავალია არა მარტო მახარაძეში, არამედ მთელ რესპუბლიკაში. წლეულს მთელ სეზონში კოლმეურნეობის მეჩაიეები ფოთოლს მეათე ხუთწლედის ანგარიშში კრეფენ და სახელმწიფოს მიჰყიდეს 1540 ტონა „მწვანე ოქრო“. მათ შარშან გაანაღლეს ხუთწლიანი გეგმა, მოკრიფეს 5.025 ტონა ფოთოლი ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით კათვალისწინებული 4.480 ტონისა.

ძმითი, გურიის ულამაზესი სოფელი, რომელსაც 30 წელზე მეტია სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი ს. მუხაშავრია, ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც არის ცნობილი. აქ მძლავრად ჩქეფს შემოქმედებითი შრომა. სწორედ ამის შედეგია, რომ მეოთხე წელიწადში აიღეს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების ხუთწლედის ზღუდე. მეათე ხუთწლედის ანგარიშში მოკრიფეს და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩაბარეს 2.161 ტონა ფოთოლი. არის ბევრი მოწინავე ადამიანი. მათ შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები სანა ქურიძე, ნატაშა ხინობიძე, თამარ ტუღუში, როზა შავიშვილი, ლიანა ჩხაიძე, ნათელა გოგუაძე და სხვები, რომლებიც ყოველწლიურად 0.5 ჰექტარზე 8-9 ათას კილოგრამზე მეტ ფოთოლს კრეფენ.

ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. წოლოძე) გმირთა სოფელს ეძახიან. აქ ყოველდღე 15 სოციალისტური შრომის გმირი კრეფდა ჩაის ფოთოლს. დარეჯან ტაკიძე, ლული ხურციძე, შრომის დიდების მესამე ხარისხის კავალერი ნონა თავაძე და — ვინ მოთვლის, რამდენი სახელოვანი მეჩაიეა ნატანებში. სვეტლანა ნიკოლაიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პარტიის მახარაძის რაიკომის ბიუროს წევრია. მის მარჯვენას ყველა აქებს, ყოველ წელს ათასი კილოგრამით მეტ ფოთოლს კრეფს, წლეულს 0.4 ჰექტარზე 8 ათასი კილოგრამზე მეტი ფოთოლი მოკრიფა. მან „მწვანე ოქროს“ პირადი ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადში შეასრულა. ამირან ტოროტაძემ ლიხაურის კოლმეურნეობაში 1,5 ჰექტარზე მოკრიფა 24 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

სასახელოდ იმუშავეს კონჭათის, მელექედურის, გაღმა დვაბზუს, მზიანის, ქვედა ბახვის, ცხემლისხიდის, ლიხაურის, ბობოეურის, ბაღდადის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმმა, ნასაკირალის, ხარუჯის საბჭოთა მეურნეობებმა.

აქვე პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ რესპუბლიკის სხვა რაიონების მშრომელების, მოსწავლეების, განსაკუთრებით ჩვენი დედაქალაქის სკოლების მოსწავლეების, სტუდენტი ახალგაზრდების მიერ გაწეული მეტად ნაყოფიერი დახმარება, რაც მათ იღმოგვიჩინეს ჩაის ნედლეულის კრეფა-გადამუშავებაში.

მახარაძელები წლევანდელი მიღწევებით როდი კმაყოფილდებიან. მომავალ მეათე ხუთწლედში ფოთლის რაოდენობასთან ერთად მეტ ყურადღებას დაუთმობენ ხარისხს. ნაცვლად წლევანდელი 70 პროცენტისა პირველი ხარისხის ჩაის ნედლეული მოიკრიფება 73 პროცენტი.

**ე. მალაზონია,**
საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი.

### ზუგდიდი

ზუგდიდში უყვართ ჩაის კულტურა. მეჩაიეები, მექანიზატორები, სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ყოველ წელს მთელი ძალღონით შრომობენ „მწვანე ოქროს“ სიუხვისათვის. მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს აგროფორმირებათა მთელი კომპლექსის გატარების შედეგად რაიონმა ვალდადე — ჯერ კიდევ 24 ივნისისათვის გადაჭარბებით გაანაღდა ხუთწლიანი გეგმა. სეზონის დასასრულს სახელმწიფოს მიჰყიდეს 196.888 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით კათვალისწინებული 170.707 ტონისა.

წლეულს გეგმით უნდა მოგვეკრიფა 39.025 ტონა ფოთოლი. ეს დავალება გადაჭარბებით შესრულდა. 28 სექტემბრისათვის მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 45.046 ტონა ჩაის ნედლეული. ამით მეათე ხუთწლედის ანგარიშში ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 25.636 ტონა ფოთოლი. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 6.000 კილოგრამი ფოთოლი.

ეს წარმატება თავისთავად არ მოსულა. ყველა მშრომელი ჩაის ფოთლის სიუხვისათვის დაირაზმა. ბლანტაციებს არ მოაკლეს მზრუნველი ხელი, ნაადგილ დროულად დამუშავეს, საჭირო რაოდენობით შეიტანეს სასუქი. ფოთლის კრეფა ყოველკვირა ამინდში მიმდინარეობდა — ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები. ისინი მაგალითს უჩვენებდნენ უპარტიოებს. პარტიის რაიონული კომიტეტი სისტემატურად ამოწმებდა ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობას. ყოველივე ამის შედეგად ზუგდიდელებმა წარმატებას მიაღწიეს.

არის კოლმეურნეობები, რომლებმაც ჯერ კიდევ შარშან შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა. მათ შორის აღსანიშნავია ახალჯახათის გზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც შარშან გადაჭარბებით გაანაღდა ფოთლის კრეფის მეცხრე ხუთწლედის გეგმა-ვალდებულება. წლეულს კი მთელ სეზონში ფოთლის მეათე ხუთწლედის ანგარიშში კრეფდნენ.

ლენინის ორდენოსანი ინგირის საბჭოთა მეურნეობის შუამთა მარტო ზუგდიდში კი არა, მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი. აქ ფართოდ მექანიზებული კრეფა ფართოდ არის დანერგილი. წელს გეგმით უნდა მოვკრიფოთ 3.084 ტონა ჩაის ნედლეული. მანქანის სრული დატვირთვით გამოყენების შედეგად დავალებებს გადაჭარბეს — აიღეს 4.084 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 7 ათასი კილოგრამი ფოთოლი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და ხუთწლიანი გეგმა-ვალდებულება გადაჭარბებით გაანაღდეს ახალსოფლის, ოქტომბრის, ნარაზენის, კახათის, ინგირის, რუხის, წითელწყაროს, შამგონის, ჯოხაშარის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, აბასთუმნის, ნარაზენის, ხეცერის, ზედაეწერის, ონარისა და ანაკლიის საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც წლეულს სეზონში მეათე ხუთწლედის ანგარიშში ასეულ ტონობით ჩაის ნედლეული მოკრიფეს და გადასამუშავებლად ჩაბარეს ფაბრიკებს.

რაიონში არიან ისეთი მეჩაიეები, რომლებმაც თავი ისახელეს. ესენი არიან: ცაიშის კოლმეურნეობიდან ვერა ჯიქია, ახალსოფლის კოლმეურნეობიდან მზია ჯოჯუა, რუხის კოლმეურნეობიდან მერი აქუბარდია, ინგირის კოლმეურნეობიდან გული ესებუა, ჯახათის კოლმეურნეობიდან მიმოზა ფანცხავა და ბევრი სხვა ასეული მეჩაიეები, რომლებმაც წლეულს მოსავლად მიჩინეო პლანტაციაზე უზრუნველყვეს 10-12 ათასი კილოგრამი ფოთლის მოღება.

— მომავალში გავამენოთ 500 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, მოვკრიფოთ 200.000 ტონა ფოთოლი, ხოლო პირველ წელს — 1976 წელს — 45 ათასი ტონა ჩაის ნედლეული, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ხარისხს — ასეთი პირობა დადეს ზუგდიდელმა მშრომელებმა.

**ი. თოდუა,**
საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი.

### ქობულეთი

ჩვენმა მეჩაიეებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1975 წლის—მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესრულებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, სასახელო წარმატებები მოიპოვეს. წლეულს გეგმით უნდა მოეკრიფათ 30.465 ტონა ჩაის ფოთოლი. ფაქტიურად 28 სექტემბრისათვის მოკრიფეს და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარეს 32.789 ტონა. სულ ხუთწლედში მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 151.736 ტონა „მწვანე ოქრო“, ნაცვლად 130.965 ტონისა, ე. ი. მეათე ხუთწლედის ანგარიშში სახელმწიფოს მიეყიდა 21.271 ტონა ფოთოლი. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 68.435 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ფოთლის სიუხვესთან ერთად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განსაკუთრებული უურადღება მიაქციეს მოკრეფილი ნედლეულის ხარისხს. ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარებული ჩაის 70 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

რაიონში შეტი ყურადღება დაეთმო საკრეფი მანქანების გამოყენებას. მანქანებით ხუთწლედში უნდა მოგვეკრიფა 10.075 ტონა ფოთოლი, ფაქტიურად 11.011 ტონა მოიკრიფა. მანქანით აღებული ფოთლის ხარისხი კარგია, საკვედური არავის გამოუთქვამს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ლენინის კოლმეურნეობა. სეზონის დაწყების დროს ლენინელებმა აღისრეს წლეულს მოეკრიფათ და სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 1.457 ტონა ფოთოლი. პირობის შესასრულებლად ბრიგადებს, რგოლებსა და კოლმეურნეთა შორის ფართოდ განადგა სოციალისტური შეჯიბრება, ყველგან პლანტაციები სანიმუშოდ დაამუშავეს. ამან უზრუნველყო ფოთლის კარგი ვეგეტაცია. მის მოკრეფას რიღი აყოვნებდნენ. პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა სოციალისტურ შეჯიბრებას, კომუნისტები მაგალითს, აჩვენებდნენ უპარტიოებს. შედეგიც ჩინებული: უკვე მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 1.707 ტონა ფოთოლი, რაც გეგმა-ვალდებულებას 749 ტონით სჭარბობს.

ჩაისუბნის კოლმეურნეობაში, როგორც ყოველ წელს, წლეულსაც თავი ისახელეს — უხვად მოკრიფეს მწვანე ოქრო, წინ მიეღის ბობოყვათის კოლმეურნეობა, რომელმაც ნაცვლად 1.161 ტონისა მოკრიფა 1.203 ტონა ჩაის ნედლეული. ასევე დაწინაურდნენ ხალვისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

ქობულეთელთა საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობამ. მათი პირობა იყო მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მოეკრიფოთ 3.360 ტონა ფოთოლი. შრომის სწორად მოწყობით, პლანტაციის კარგი მოვლით მოიკრიფა 3.775 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობას გეგმა-ვალდებულებით 2.140 ტონა ფოთოლი უნდა მოეკრიფა, ფაქტიურად მოკრიფეს 2.375 ტონა, ხოლო ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფა 2.242 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 2.075 ტონისა.

